გაუმარჯოს 1 მაისს—მშრომელთა საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღეს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა
სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტის, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო
Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ, профкома и месткома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 12 (148) | შაბათი, 28 აპრილი, 1956 წ. გამოცემის მეხუთე წელი | ფასი 20 კაპ.

დიადი დღესასწაული

პირველი მაისი კაცობრიობის გაზაფხულის დიადი დღესასწაულია. მისი განთიადით გასხივოსნებულია ჩვენი მძლავრი სოციალისტური სამშობლო, რომელიც ყველა ხალხს უნათებს თავისუფლებისა და ბედნიერების გზას.

მსოფლიოს ხალხები წელს პირველ მაისს დღესასწაულობენ მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად მშრომელთა მასების განსაკუთრებული დარაზმულობის ვითარებაში.

მთელ მსოფლიოში უდიდესი ცვლილებები მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე. არნახულად განმტკიცდა და გაიზარდა სოციალიზმის ბანაკი, სოციალიზმი მსოფლიო სისტემად იქცა. ამ ბანაკის დროშის ქვეშ დარაზმულია 900 მილიონი კაცი, რომელთა დიადი მაგალითი აღაფრთოვანებს დედამიწის ყველა კუთხის მშრომელებს თავიანთი უფლებებისათვის, კაპიტალისტური მონობისა და კოლონიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისათვის საბრძოლველად.

წელს პირველი მაისი აღინიშნება ახალი მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა. სოციალისტური მრეწველობის მუშაკები სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა ინტელიგენცია ახალი და ახალი სახელოვანი შრომითი საქმეებით უპასუხებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებას:

„საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები და შემოქმედებითი ენერგია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი საქმისათვის!“

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საპირველმაისო მოწოდებებში ნათლადაა გამოხატული პარტიის მიერ დასახული ამოცანები. პარტიის ეს შთამაგონებელი მოწოდებანი საბჭოთა ადამიანებმა მიიღეს როგორც უდიდესი მნიშვნელობის საბრძოლო პროგრამა და თავდადებით შრომობენ ამ დავალების წარმატებით შესრულებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა მეცნიერულად დასაბუთებული ამოცანა — ისტორიულად უმოკლეს ვადაში დავეწიოთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

სწორედ სსრ კავშირის ამ მთავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრების მიხედვით უნდა განვიხილოთ ბრძოლა, რომელსაც კომუნისტური პარტია ეწევა ყოველგვარი კონსერვატიზმის, ჩამორჩენილობისა და ყოყოჩობის წინააღმდეგ. მხოლოდ იმ პირობით, თუ უზრუნველვყოფთ საბჭოთა და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა ძვირფას გამოცდილებათა სწრაფად ათვისებას, ჩვენ შევძლებთ გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ მთელი რეზერვები, სრულად გამოვიყენოთ საბჭოთა წყობილების მეურნეობის სოციალისტური სისტემის დიდი უპირატესობანი.

ყოველი ღონისძიებით ავითარებს რა მრეწველობას, პირველ რიგში მძიმე ინდუსტრიას, რომელიც არის მთელი სახალხო მეურნეობის საფუძველი, აწყობს რა სახალხო-სამეურნეო წარმოების მკვეთრ აღმავლობას, პარტია ზრუნავს უწინარეს ყოვლისა ხალხის კეთილდღეობისათვის, საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისა და მისი ცხოვრების აყვავებისათვის. განუწყვეტლივ ხელმძღვანელობს რა მთელ თავის საქმიანობაში სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონით, პარტია მთელი ენერგიით და თანმიმდევრობით ახორციელებს მის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა სისტემას, რომელთა მიზანია ჩვენი ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი აღმავლობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძალა იმაშია, რომ იგი ყველაზე მოწინავე თეორიით — მარქსიზმ-ლენინიზმით შეიარაღებული თანამოაზრე კომუნისტთა მებრძოლი კავშირია. პარტიის ძალაა განუყრელი კავშირი ხალხის მასებთან, ორგანიზებულობა და დისციპლინა, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების, პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების ზუსტად და განუხრელად დაცვა.

დღეს საზეიმოდ ჟღერს საბჭოთა ადამიანების გულის სიღრმიდან მომდინარე მრავლის მეტყველი სიტყვები:

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

— მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

ვ. ი. ლენინის დაბადების 86-ე წლისთავის აღსანიშნავად

23 აპრილს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომა, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 86-ე წლისთავისადმი.

სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წაკითხულ იქნა შემდეგი მოხსენებები: „ვ. ი. ლენინი წინააღმდეგობის ბუნების შესახებ“ — მომხსენებელი დოც. ს. წერეთელი, „მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის განვითარება ვ. ი. ლენინის მიერ“ — მომხსენებელი პროფ. ს. ბერაძე, „ვ. ი. ლენინი სოციალისტური მშენებლობის შესახებ საქართველოში“ — მომხსენებელი დოც. ი. კაჭარავა.

ვ. ი. ლენინის ძეგლი

თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების მიტინგი, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნისადმი

თბილისის მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან, მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელებთან ერთად ზეიმით აღნიშნეს კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს გენიალური დამაარსებლის, საერთაშორისო პროლეტარიატის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 86-ე წლისთავი.

კომუნისტური პარტიისადმი, ლენინის დიადი საქმისადმი ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების მკაფიო და [illegible] გამოხატულება იყო თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების 21 აპრილს გამართული მიტინგი, რომელიც ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნას მიეძღვნა.

ვრცელ მოედანზე, რომელიც ლენინის სახელს ატარებს, შეიკრიბა ქალაქის ათასობით მშრომელი. აქ მოვიდნენ მრეწველობისა და მშენებლობის მუშები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოსწავლეები, მოსამსახურეები, საბჭოთა არმიის მეომრები. მოედანზე არიან კლასობრივი ბრძოლების [illegible] ვეტერანები, რომლებიც 1905 წლის რევოლუციის ბარიკადებზე იბრძოდნენ.

ტრიბუნაზე არიან ამხანაგები: ვ. პ. მჟავანაძე, მ. დ. ჩუბინიძე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი [illegible], [illegible], [illegible], ვ. ი. [illegible], [illegible], საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე [illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible], პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავე მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები.

ტრიბუნაზე არიან აგრეთვე ძველი ბოლშევიკები — რუსეთის პირველი რევოლუციის მონაწილენი.

ნაშუადღევის 3 საათია. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. [illegible] მიტინგს გახსნილად აცხადებს.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვ. პ. მჟავანაძეს.

— დღეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში, — ამბობს იგი, — იხსნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, გენიალური თეორეტიკოსისა და მოაზროვნის, მშრომელი კაცობრიობის ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ძეგლი.

[illegible] ქართველი ხალხი [illegible] ვ. ი. ლენინის [illegible], რომელიც [illegible] ... წინ მშვენიერი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

მიტინგზე [illegible] „ინტერნაციონალის“ [illegible] ჰანგები. [illegible] ტაში.

მიტინგზე სიტყვებით გამოდიან — თბილისის [illegible] ამხ. [illegible], პარტიის ძველი წევრი, 1905—1907 წლების რევოლუციის მონაწილე ამხ. ი. [illegible], საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ამხ. ნ. მუსხელიშვილი, [illegible] სახელობის [illegible] ფერმის გამგე ამხ. გ. [illegible], საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1905 წლიდან, რუსეთის პირველი რევოლუციის მონაწილე ამხ. გ. [illegible], ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის [illegible] ინსტიტუტის სტუდენტი ამხ. [illegible], თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მოსწავლე [illegible].

მიტინგი დამთავრდა. ქდერს პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“. [illegible] ლენინის მიდამოები. თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების მიტინგს [illegible] გადაიქცა. [illegible] რესპუბლიკის ყველა კუთხეში [illegible] და თითქოს უხილავად მონაწილეობდა [illegible] ლენინის ძეგლის საზეიმო გახსნაში.

თემურ ბაბელაია

ს ა მ ა ი ს ო

დღეს მშრომელთა მაისია,
გაზაფხულის დარია,
ეს დროშების შრიალია,
ხული, გაგიხარია!

ეს საამო შრიალია
გამარჯვების დროშების,
ამ დროშებით ვიბრძოდით და
გავყვითენდა დრო შვების.

ბრძოლის ცეცხლში გამოვლილი
ქარმა ბევრჯერ არწია,
ამ დროშით წინ მიგვიძღოდა —
კვლავ მიგვიძღვის პარტია!

გამარჯვების ზეიმია,
გული, გაგიხარია,
ეს დროშების შარიშურით
აფარფრდა? ქარია!

გაზაფხულის დილა

აწრკანებული ბუნება,
გულს გაგიხარებს, აბა რა, —
ზამთრის ყინვისგან დამზრალი
კვლავ აჭიკჭიკდა, გამოზარა!

არ, წვიმამაც ჩუხჩუხით
ბის ფესვებს ჭადარს,
შემდეგ უჟავილებს დაქროდა:
— კარგადა ხართ, თუ არა?

მერცხალმა, ნაზმა ხტუმარმა,
თავი ვერ შეიკავა და —
გალაღებულმა, ჭიკჭიკით
ლაჟვარდში შეინავარდა.

აწრკანებული ბუნება,
მზის დაულევრია სხივები
ბაღებში ცვარი ციმციმებს,
ვით გაშლილი მძივები.

წერილები სოხუმიდან

„ჩვენ ბუნების მშვენიერების წიაღში ვიმყოფებით" — გვწერენ სოხუმიდან ჩვენი თანაკურსელები, რომლებიც სადიპლომო შრომებზე სამუშაოდ გაემგზავრნენ უნივერსიტეტიდან სოხუმში.

[illegible]

ვინ არიან ეს ამხანაგები?

ესენი არიან ფიზიკის ფაკულტეტის V კურსის მე-15 ჯგუფის სტუდენტები ვ. [illegible], კ. [illegible], ჭ. [illegible], გ. ფარცხამშვილი, გ. [illegible] და ი. [illegible]. ისინი გვწერენ: „ჩვენი საქმიანობა მეტად საინტერესო და შრომატევადია... [illegible] ჩვენი უნივერსიტეტის".

ვუთხვებით ამ სტუდენტებს და ჩვენს, მათ თანაკურსელებს, [illegible] უნივერსიტეტს.

— შევეჯიბრებით!

[illegible]

სოხუმში წასულებს არც თბილისში დარჩენილი თანაკურსელები ჩამორჩნენ. ისინი დაუღალავად მუშაობენ თავიანთ უბნებზე და სულ მალე დაამთავრებენ სადიპლომო სამუშაოებს. წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს თანაკურსელებს.

ბ. ქორიძე.
რ. ბერულავა.

მეხუთეკურსელები იცავენ სადიპლომო შ რ ო მ ე ბ ს

ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური ენების განყოფილების V კურსის სტუდენტები სადიპლომო თემების მიღებისთანავე მუყაითად შეუდგნენ სათანადო მასალების დამუშავებას.

სისტემატური და ბეჯითი შრომის შედეგად მათ დროზე წარადგინეს კათედრაზე თავიანთი სადიპლომო შრომები, რომელთა უმრავლესობა მაღალხარისხოვნად და გულისხმიერადაა შესრულებული.

ამასწინათ შედგა კავკასიურ ენათა კათედრის ღია სხდომა, რომელზეც სადიპლომო შრომები დაიცვეს მეხუთეკურსელებმა: ც. კვინტრაძემ („პირის კატეგორია უდურსა და ქართულ ენებში") და ე. მიქაელოვმა („გრამატიკული კლასები ხუნძურ ენაში").

აღნიშნულმა სტუდენტებმა თავიანთი სადიპლომო ნაშრომები წარმატებით დაიცვეს და მაღალი შეფასება — ფრიადი — დაიმსახურეს.

სურათზე: ფილოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი ე. მიქაელოვი სადიპლომო შრომის დაცვის დროს.

გადაჭრით გავაუმჯობესოთ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა

★

უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის კრებაზე

★

1956 წლის 19 აპრილს შედგა ჩვენი უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის კრება, მიძღვნილი უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციისა და მისი კომიტეტის წინაშე მდგარი ამოცანებისადმი. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ.

ამხ. ვ. მჟავანაძემ აღნიშნა უნივერსიტეტის მნიშვნელოვანი როლის შესახებ ახალგაზრდა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში. ამავე დროს, — აღნიშნა მომხსენებელმა, — უნივერსიტეტის მუშაობაში მრავალი ნაკლი [illegible]

[illegible] და პარტიულმა კომიტეტმა ჯერ კიდევ ვერ შეძლო უზრუნველეყო საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობის სათანადო დონე.

პირდაპირ უნდა ითქვას, — აღნიშნავს ამხ. ვ. მჟავანაძე, — რომ უნივერსიტეტის პარტიულმა კომიტეტმა [illegible] მუშაობას, იგი მოწყდა სტუდენტობას, ხელს არ უწყობდა კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას. პარტიული კომიტეტი სათანადოდ არ [illegible] ცალკეულ ისეთ ფაქტებს, რომლებიც პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ხარვეზებზე მიუთითებენ და არ რაზმავდა პარტიულ ორგანიზაციის მუშაობას ამა თუ იმ უბანზე [illegible]

[illegible] მეცნიერებათა კათედრების როლი ახალგაზრდობის კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მასწავლებლებს ევალებათ შეიარაღონ სტუდენტობა მარქსისტულ-ლენინური იდეების [illegible]. მათ წამყვანი როლი უნდა შეასრულონ უნივერსიტეტის სხვა კათედრებს შორის, უნდა აწარმოონ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა არა მხოლოდ სტუდენტთა შორის, არამედ მასწავლებელთა შორისაც.

საჭიროა ბოლომდე აღმოიფხვრას ფორმალიზმი და მედავითნეობა ლექციებზე და სემინარებზე [illegible]

[illegible]

ჩემთვისაც დადგა ეს გაზაფხული!..

მიუხედავად იმისა, რომ მე დავიბადე და ვიზრდებოდი იმპერიალისტთა და კოლონიზატორთა მიერ დაჩაგრულ საბერძნეთში, მაინც მხვდა წილად ბედნიერება გამეგო კაცობრიობის დიდი გენიის ლენინისა და მისი მოწაფის სტალინის შესახებ. ამის შემდეგ ჩემი უდიდესი სურვილი იყო მენახა მათი მშობელი ქვეყანა — გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა.

მე ამ მიზნის განხორციელებასაც მივაღწიე და ჩამოვედი მშვიდობისმოყვარე მშვენიერ საბჭოეთში. ჩემს თავს ბედნიერად ვთვლი იმის გამო, რომ ვცხოვრობ და ვსწავლობ იმ ქვეყანაში, რომელიც კომუნიზმს აშენებს.

მე ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ მთელი მსოფლიოს მშრომელთა სოლიდარობის დღეს — 1 მაისს ვხვდები ჩემი საბჭოთა მეგობრებისა და ამხანაგების წრეში, სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა ერთ ძმურ ოჯახში.

ჩემთვისაც დადგა
ეს გაზაფხული,
დავდივარ ლაღად
ამ მიწის გულზე.
ვგრძნობ სიდიადეს
შენსას ქვეყანავ!
საბჭოთა მიწავ!
დღეს შენ გიწოდებს
სხვადასხვა ერი
სამშობლო მხარეს.
მხოლოდ შენა ხარ,
საბჭოთა მიწავ,
მშობლიური და
უსაყვარლესი!

ფოტულა იანაკოპულუ

კულტმასობრივი ღონისძიებანი სტუდენტთათვის

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფკომმა შეადგინა სპეციალური გეგმა სტუდენტთა ქალაქში მცხოვრებ სტუდენტთათვის კულტმასობრივი და პოლიტ-აღმზრდელობითი ღონისძიებების ჩასატარებლად.

კერძოდ, მაისის თვეში სტუდენტთა ქალაქში ჩატარდება ლექციები შემდეგ თემებზე: საბჭოთა ახალგაზრდის მორალური სახე, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა, საბჭოთა საქართველო მეექვსე ხუთწლედში და სხვ. მოეწყობა შეჯიბრება ჭადრაკში უნივერსიტეტის კორპუსებს შორის, აგრეთვე ჩატარდება სპორტული შეჯიბრებანი. უფასოდ იქნება ნაჩვენები მხატვრული კინოფილმები და სხვ.

ამასწინათ სტუდენტთა ქალაქის კლუბში ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. გონაშვილმა წაიკითხა ლექცია „საბჭოთა პატრიოტიზმის შესახებ". ლექციის შემდეგ უნივერსიტეტის თვითმოქმედი კოლექტივების ძალებით გაიმართა კონცერტი.

დიდი კოლექტივის უღირსი წევრები

ასობით სპეციალისტი ამთავრებს უნივერსიტეტს. ახალგაზრდა სპეციალისტების ძირითად ნაწილს გარკვეული აქვთ თავისი მომავალი გზა—ისინი ღირსეულად დაიჭერენ ადგილს ჩვენი სამშობლოს სკოლებსა და წარმოება-დაწესებულებებში.

ახალგაზრდა სპეციალისტთა ამ თაობის რიგებში აღმოჩნდნენ უმადური, უღირსი წევრებიც, რომელთაც მხოლოდ პირადული ინტერესები ამოქმედებთ და, სამწუხაროდ, იმაშიაც ვერ ერკვევიან, თუ რა სჯობს მათთვის როგორც ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის.

რით გამოიჩინა თავი ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტმა საქონელმცოდნე ა. შამლიკაშვილმა? იგი სწავლაში ფრიადოსანი იყო, მაგრამ საქმეში სულ საწინააღმდეგო სახე გვიჩვენა. კურსდამთავრებულთა სამუშაოზე განაწილების დროს იგი დიდად აღშფოთდა იმის გამო, რომ ტაგანროგში წასვლა შესთავაზეს, და კომისიის წევრებს მაგიდაზე ხელების ბრახუნით გაუმასპინძლდა. ამ ახალგაზრდას ვერ წარმოუდგენია მისთვის უფრო შესაფერი ადგილი, ვიდრე თბილისის უნივერმაღია... ა. შამლიკაშვილის ასეთ საქციელს დ. ხანანაშვილიც თანაუგრძნობს. მანაც, ისევე როგორც შამლიკაშვილმა, კატეგორიულად განაცხადა უარი ტიხორეცკაიაში წასვლაზე. არც ვ. კარტოზიამ და ვ. ბერძენიშვილმა ისურვეს სტავროპოლში წასვლა. აი ისინი, რომლებიც „ხელსაყრელი" ადგილის შერჩევის ცოდნაში იჩენენ განსაკუთრებულ ნიჭს, რომელთათვისაც თავი და თავი — ეს პირადი ინტერესებია და სავსებით არაა ანგარიშგასაწევი, თუ რას მოითხოვს მათგან სოციალისტური სამშობლო.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალობით ამთავრებენ უნივერსიტეტს ე. კობიძე და ა. წულაია. ისინი მოწყდნენ ამხანაგებს და უარი განაცხადეს წასულიყვნენ ყაზახეთის რესპუბლიკაში სამუშაოდ. ამათ არც მრეწველობის ეკონომიკის სპეციალობით კურსდამთავრებული ზ. კვირიკაშვილი ჩამორჩა, რომელმაც არ მოისურვა ერევანში წასულიყო სამუშაოდ.

ჩამოთვლილი ფაქტები მცირე გამონაკლისია ეკონომიკის ფაკულტეტზე. ხსენებულ უღირს პირებზე ნუთუ იმან მაინც არ იქონია გავლენა, რომ მათმა თანაკურსელმა ამხანაგებმა — ლ. ბერიშვილმა, ალ. ქურდოვანიძემ, ნ. ბერაძემ, მ. მეხიგულაშვილმა და სხვებმა სურვილი გამოთქვეს სამუშაოდ წავიდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მხარეში, რომლებიც გაემგზავრებიან რა დანიშნულების ადგილზე, იქ სიამაყით განაცხადებენ, რომ ისინი სამუშაოდ ჩამოვიდნენ თბილისიდან, რომ ისინი აღზარდა და სამუშაოდ გაგზავნა ჩვენი უნივერსიტეტის დიდმა კოლექტივმა.

უ. ოთარაშვილი

საუბრები მეექვსე ხუთწლედის შესახებ

გაზსადენი გროზნო—თბილისი

[illegible]

თ. ჭიაბრიშვილი

მადლობა გამოეცხადოთ

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის სპორტული გუნდების მზადების შემოწმებისა და ნაკრები გუნდების შერჩევის მიზნით ამასწინათ ჩატარდა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი უნივერსიტეტის სპორტსმენებმაც. უნივერსიტეტის ტანმოვარჯიშეებმა და ვაჟმა კალათბურთელებმა აღნიშნულ სპარტაკიადაზე პირველი ადგილი დაიკავეს.

ტანმოვარჯიშეებს—ლილი გელეკაშვილს, ვალენტინა კლიმოვას, აზა კვეკლიას, ნუნუ კასაევას, ლეილა ქლენტს, მუნარა ცნობილაძეს, მარგალიტა თათუშვილს, ნინა კასრელიშვილს, ზაალ გაგოშიძეს, ზიგფრიდ გვეტაძეს, ოთარ ქორქიას, ალექსანდრე ნარიმანოვს, მერაბ ქოიავას, დავით პერტენავას, ბედო გიორგობიანს, ალექსანდრე ბოკერს, აგრეთვე უნივერსიტეტის კალათბურთელ ვაჟთა გუნდის წევრებს შემდეგი შემადგენლობით: გივი აბაშიძეს, ზაქრო მეგრელიშვილს, ოთარ ჩაჩუას, ოთარ ლორთქიფანიძეს, იგორ გოლემბიევსკის, ოთარ დუნდუას, ზაურ ქელეხსაძეს, ალეკო რაზმაძეს, ჯემალ სულაქველიძეს გამოეცხადოთ რექტორის მადლობა და დაჯილდოვებულ იქნენ სპორტული კლების სიგელებით.

ტანმოვარჯიშეთა გუნდების კარგი მომზადებისათვის მადლობა გამოეცხადოთ აგრეთვე მწვრთნელებს: ა. ფხაკაძეს, ნ. ბახუტაშვილს, ო. მიქელაძეს და ს. ბერჯანაძეს.

ᲓᲐᲛᲘᲬᲧᲠᲘᲡ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ᲔᲥᲘᲡᲬᲠᲘᲚᲘᲡ ᲑᲝᲗᲘᲜᲘᲐᲨᲘ

ᲐᲛᲑᲔᲒᲘ ᲛᲔᲠᲔ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲓᲐᲜ...

ᲬᲠᲔᲛ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲐ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ: Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 1. ᲢᲘᲠᲐᲟᲘ 1 500. ᲤᲐᲡᲘ 0.37.16

ᲠᲔᲓ. ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ: ᲗᲘᲠᲐᲜᲐ, ᲐᲚᲑᲐᲜᲗᲐ ᲥᲣᲩᲐ № 2. ᲢᲔᲚ. 5-23-05.